ხელშეკრულება N 25ა

ქ. ბათუმი დიდაჭარის ქუჩა N23

5 თებერვალი 2018 წ.

ერთის მხრივ ,,შემსყიდველი" ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალურ მომსახურების სამსახური" ს/კ 248433627 , მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, მისი დირექტორის **დროებითი მ/ სულხან ვერძაძის** სახით და მეორეს მხრივ ფ/პ მზია ქართველიშვილი პ/ნ 61006026258, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შევთანხმდით შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV კოდი **92500000 საარქივო მომსახურება** (კერძოდ: 2007-2017 წლების კადრების დოკუმენტებისა და 2015-2017 წლების კანცელარიის, ხელშეკრულებების და ბუღალტრული საბუთების შეკერვა)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **850 (რვაას ორმოცდაათი)** ლარი;

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს .

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია სამუშაოების მიღებაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3 შესრულებული სამუშაოს მიწოდება განხორციელდეს 2018 წლის 20 მარტამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაო ითვლება მიმწოდებლის მიერ მოწოდებულად და დამკვეთზე ჩაბარებულად მოწოდებული სამუშაოს ჩაბარების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.2მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის შემოწმება;

5.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

6.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ფორს მაჟორი 8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (ფორს მაჟორი). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით; 9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 25 მაისამდე.**

11. მხარეთა რეკვიზიტები

,,შემსყიდველი":
ა(ა)იპ ,,ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური"
ს/ნ 248433627
მის: ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23

,,მიმწოდებელი"
ფ/ პ: მზია ქართველიშვილი
პ/ნ 61006026258
ს.ს.,,ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22
ა/ნ GE53LB0288870210006177

დირექტორის დროებითი მ/ შ

/სულხან ვერძაძე/

/მზია ქართველიშვილი/